## 16 ივნისი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეა

# ყველანი არჩევნებზე!


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 118 (5148)

1974 წ. 16 ივნისი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან




ა. ბარნოვის ნახატი.

საქმესი მოგვითხრობს

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკებში

### რესპუბლიკური სპარტაკიადა დამთავრდა

თითქმის მილიონის მესამედს აღწევდა ყირგიზეთის სპორტსაზოგადოებათა XV სპარტაკიადის მონაწილეთა რიცხვი. მათგან 150 ათასმა მშრ კომპლექსის ნორმატივები ჩააბარა. ეს სპორტული დღესასწაული, რომელიც ყირგიზეთის რესპუბლიკისა და კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნებოდა, 12 ივნისს დამთავრდა.

რვა დღეს გასტანა ფინალურმა შეჯიბრებებმა სპორტის 25 სახეობაში. სარბიელზე გამოვიდა 2200 სპორტსმენი, რომლებმაც შესარჩევი შეჯიბრებების „ლაბირინთი" გაიარეს. ფინალისტთა შორის მრავლად იყვნენ სპორტის ოსტატობის კანდიდატები და სპორტის ოსტატები. სპარტაკიადის მთავარი პრიზი სპორტსაზოგადოება „ალგის" წარმომადგენლებს ხვდათ.

ფრუნზე.

### ახალი „სპორტული საამქრო"

კაუნასში გაიხსნა ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის ხელოვნური ბოჭკოს ქარხნის სპორტული კომბინატი. ახალი ბაზის ცისფერი ბილიკები ქალაქის უძლიერესმა მოცურავეებმა „შეამოწმეს".

„სპორტული საამქრო" სავსებით შეეფერება ლიტვის ამ ერთ-ერთ უდიდეს საწარმოს. 4 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე განლაგებულია თამაშებისა და მძლეოსნობის მანეჟი 100-მეტრიანი პირდაპირი სინთეტური ბილიკებით. ახალ აუზს რვა 50-მეტრიანი ბილიკი აქვს. იგი პირველი ასეთი ბაზაა ლიტვაში.

ეს კომპლექსი შესანიშნავი წინასაარჩევნო საჩუქარია ქარხანა „პლუოშტასის" („ბოჭკო") სპორტკლუბისთვის, სადაც 16 სექციაში ათასზე მეტი სპორტსმენი მეცადინეობს. კლუბთან გახსნილია ბავშვთა სპეციალიზებული სკოლა ცურვასა და მძლეოსნობაში, სადაც 500 ნორჩი სპორტსმენია გაერთიანებული. ბავშვების აღმზრდელთა შორის არიან ინჟინერი ი. შლიაჟასი — საბჭოთა ქვეყანაში პირველი საზოგადოებრივი მწვრთნელი (მძლეოსნობაში), რომელსაც სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა.

ს. მაინტრაუზასი.

კაუნასი.

ცნობები სოციალისტური ქვეყნებიდან

## მოცურავეთა რიცხვი ათასებს აღწევს

ჰანოი, 13 ივნისი. შორეულ დისტანციებზე ცურვა სპორტის პოპულარული სახეობაა დემოკრატიულ ვიეტნამში. ომის დამთავრების შემდეგ კვლავ ტარდება მოცურავეთა მასობრივი შეჯიბრებები, რომლებშიც ზოგჯერ რამდენიმე ათასი სპორტსმენი მონაწილეობს. ერთ-ერთი ყველაზე დიდი ასპარეზობაა ცურვა მდინარე ბატდანგზე. ესაა წითელი მდინარის ტოტი, რომლის სიგანეც შესართავთან რამდენიმე კილომეტრს აღწევს.

ამ ასპარეზობისთვის მზადების პერიოდში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა წითელ მდინარეზე მოაწყო შეჯიბრება, რომელშიც ჰანოის 250-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. ვაჟებისთვის მანძილი 2500 მეტრი იყო, ქალებისთვის — 1500.

გაიმარჯვეს 22 წლის ხოანგ ხაიმ, სახალხო ლაშქრის მებრძოლმა ქალაქგარე კოოპერატივიდან და 16 წლის ჰანოელმა მოსწავლემ ფამ თხი თხაომ.

ა. მინეევი.

## მძლეოსანთა სტარტები

პოტსდამი, 15 ივნისი. აქ გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელსაც „ოლიმპიელის დღე" ჰქვია, სიმაღლეზე ხტომაში ყველას აჯობა ევროპის „ზამთრის" ჩემპიონმა, ვილნიუსელმა კ. შაპკამ — 214 სმ. მისმა თანაქალაქელმა ი. გრიგასმა მოიგო 3000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენა — 8.35,2.

კაუნასი, 15 ივნისი. საქალაქო სპარტაკიადაში მოასპარეზე მოსკოვის მსოფლიო უნივერსიადის ვერცხლის პრიზიორმა მარგარიტა ტრეინიტემ კარგი შედეგით გაიმარჯვა სიგრძეზე ხტომაში — 656 სმ.

## ფინალის საგზური მოპოვებულია

ნიცა, 15 ივნისი. XXI საჭადრაკო ოლიმპიადის პირველ ნახევარფინალურ ჯგუფში ყველას აჯობა სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელმაც საბოლოოდ 28 ქულა დააგროვა (ერთი გადადებული პარტია).

კუზმინმა გადადებული პარტია მოიგო და მონღოლეთის გუნდთან ანგარიში გახდა 3,5:0,5.

### ლევიტინას უპირატესობით...

კისლოვოდსკი, 15 ივნისი. ჭადრაკში ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების ვ. კოზლოვსკაიას (პიატიგორსკი) და ი. ლევიტინას (ლენინგრადი) ნახევარფინალური მატჩის VIII პარტია დაუმთავრებელი დარჩა. შეწყვეტილ პოზიციაში ლევიტინას (თეთრები) დიდი უპირატესობა აქვს.

ჯერჯერობით მატჩის ანგარიშია 4:3 კოზლოვსკაიას სასარგებლოდ.

## გფრ — ჩილი 1:0
## გდრ — ავსტრალია 2:0
## ზაირი — შოტლანდია 0:2

14 ივნისს დასავლეთ გერმანიის ქალაქებში გაიმართა ფეხბურთში მსოფლიოს X ჩემპიონატის მატჩები ჯგუფებში.

დასავლეთ ბერლინში (I ჯგუფი) მასპინძლებმა, გფრ-ის ფეხბურთელებმა მხოლოდ დაძაბული ბრძოლის შემდეგ, მინიმალური ანგარიშით დაამარცხეს ჩილის გუნდი — 1:0. ერთადერთი ბურთი მე-16 წუთზე გაიტანა გერმანელმა მცველმა ბრაიტნერმა.

ჩილიელი ფეხბურთელები ძალიან უხეშად თამაშობდნენ და თურქ მსაჯს ბაბაკანს საგანგებო ზომების მიღება მოუხდა: ერთი ჩილიელი ფეხბურთელი მინდვრიდან გააძევა, ხოლო სამი გააფრთხილა. მინდვრიდან გაძევებული კასზელი ავტომატურად დისკვალიფიცირებულია შემდეგი მატჩისთვის.

თამაშის მსვლელობის დროს სტადიონზე გაიმართა ჩილიში ფაშისტური რეჟიმის საპროტესტო დემონსტრაცია. დაახლოებით 200 დემონსტრანტი გაიძახოდა: „გაუმარჯოს ჩილის, ძირს ხუნტა!" „სიკვდილი ფაშიზმს!".

ჰამბურგის (I ჯგუფი) სტადიონზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხა ავსტრალიის გუნდი. ორივე ბურთი შესვენების შემდეგ გავიდა: 57-ე წუთზე ავსტრალიელთა მცველმა კურანმა საკუთარ კარში ჩაჭრა შპარვასერის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი, 74-ე წუთზე კი შტრაიჰმა ანგარიში გაზარდა. ამ მატჩშიც იყო წესრიგის დარღვევისა და უხეშობის შემთხვევები. გდრ-ის სამმა მოთამაშემ გაფრთხილება მიიღო.

დორტმუნდში (II ჯგუფი) ერთმანეთს შეხვდნენ შოტლანდიისა და ზაირის გუნდები. შოტლანდიელებმა კარგად ითამაშეს პირველ ნახევარში: შესვენებისთვის ანგარიში იყო 2:0 მათს სასარგებლოდ (ლორიმერი, ჯორდანი).

მეორე ტაიმში შოტლანდიელებმა საგრძნობლად უკლეს თამაშს და ამ ანგარიშს დასჯერდნენ.

• • •

დასავლეთ გერმანიის ტელევიზიის ერთ-ერთი მიმომხილველის ცნობით, სალაროებში ჯერ კიდევ დევს ჩემპიონატის მატჩების დაახლოებით მილიონი ბილეთი, მაშინ, როცა ბეიოტაჟი მსოფლიო ჩემპიონატის გარშემო აუწერელია. ქორვაჭრები ბილეთებს ყიდიან ნამდვილ ფასზე 3-4-ჯერ უფრო ძვირად. ცნობა ბილეთების გაყიდვის თაობაზე შავი ბაზრის ფასებით დასავლეთ გერმანიის ზოგიერთ გაზეთშიც კი გამოჩნდა.

## „ტალინის დიდ პრიზზე"

ტალინი, 13 ივნისი. ადგილობრივ ტრეკზე დიდი ინტერესით მიმდინარეობს ველოსიპედისტთა საერთაშორისო შეჯიბრება „ტალინის დიდ პრიზზე".

განსაკუთრებული სიმწვავით იყო აღსავსე გამოდევნებით ინდივიდუალური რბოლის ფინალი. პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ პ. გოლუბნიჩი (სსრ კავშირი) და ი. იანკევიჩი (პოლონეთი). გაიმარჯვა სტუმარმა, რომელმაც 4-კილომეტრიანი მანძილი 5 წუთსა და 3,62 წამში დაფარა.

ერთ კილომეტრზე გიტში სამივე საპრიზო ადგილი სსრ კავშირის გუნდის წარმომადგენლებს ხვდათ. საუკეთესო იყო ვ. კუდრიაშოვი — 1.09,57 (ტალინის ველოდრომის რეკორდი).

სპრინტში გაიმარჯვა ი. გეშკემ (გდრ), 100 წრეზე რბოლაში — ა. მატვეევმა, 15 საშუალედო ფინიშით 120 წრეზე წყვილთა რბოლაში — ა. სუდარჩიკოვმა და ვ. გუბენკოვმა (ყველა — სსრ კავშირი) — 27 ქულა.

„ტალინის დიდი პრიზის" წლევანდელ გათამაშებაში სსრ კავშირის, ბულგარეთის, გდრ-ის, გფრ-ის, კუბის, პოლონეთის, უნგრეთის, ფინეთისა და ჩეხოსლოვაკიის ასზე მეტი ველოსიპედისტი მონაწილეობდა.

## ტანმოვარჯიშეთა მატჩი

ბერლინი, 13 ივნისი. გდრ-ის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ტანმოვარჯიშე ქალთა აქ გამართული მატჩი მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებმაც 372,5 ქულა დააგროვეს. II ადგილზე გავიდა მასპინძელთა ნაკრები (371,25), ხოლო III — ჩეხოსლოვაკიის გუნდი (363,65).

პირად ჩათვლაში გაიმარჯვა ა. ჰელმანმა (გდრ) — 75,4 ქულა. მას შეუპოვარი მეტოქეობა გაუწია II ადგილზე გასულმა ახალგაზრდა საბჭოთა ტანმოვარჯიშემ გ. პარშინცევამ — 74,95 (ორძელი 9,7 — შეჯიბრების უმაღლესი შეფასება). III-IV ადგილები გაიყვეს ნ. ვორონინამ და ე. კოლესნიკოვამ — 74,5-74,5 ქულა.

ჰალე-ნოიშტადტი, 13 ივნისი. გდრ-ისა და სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე ვაჟთა აქ გამართულმა მატჩმა წარმატება მასპინძლებს მოუტანა — 557,15 ქულა. საბჭოთა გუნდის შედეგია 552,15 ქულა.

პირად ჩათვლაში საუკეთესო იყო კ. კიოსტე (გდრ) — 112,50. შემდეგ მოდიან: ვ. ტიუნე (გდრ) — 111,9 ე. მიქაელიანი — 111,65, ვ. საფრონოვი — 111,40, ა. მალეევი (ყველა — სსრ კავშირი) — 111.10.

# ყოჩაღ, აჭარის წყალბურთელებო!



საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადა

მოსწავლე წყალბურთელთა ასპარეზობაში, რომელიც თბილისში ჩატარდა, აჭარის გუნდმა (მწვრთნელი ვ. მამჩინი) თანმიმდევრულად დაამარცხა აფხაზეთის წარმომადგენლები (23:0), თბილისის პირველი (4:2), მეორე (9:2), მესამე (14:1) გუნდები, ქუთაისის კოლექტივი (9:5) და დამსახურებულ წარმატებას მიაღწია. II ადგილი ხვდა თბილისის პირველ გუნდს, III — ქუთაისელთა კოლექტივს.

ასპარეზობამ ცხადყო, რომ მოსწავლე წყალბურთელთა მომზადების დონე ძალიან დაბალია. ისინი ნელა ცურავენ, ბურთის გადაცემაში აკლიათ სიზუსტე. რაც შეეხება ტაქტიკურ მომზადებას, ამ მხრივ ქებას იმსახურებენ მხოლოდ აჭარის ჭაბუკები, რომლებმაც კარგად დამუშავებული რამდენიმე ტაქტიკური ვარიანტით შეძლეს მეტოქეთა კარში ყველაზე მეტი (59) ბურთის გატანა და ყველაზე ნაკლების (10) მიღება. აჭარის გუნდის წარმატება განსაკუთრებით მისასალმებელია, ვინაიდან საქართველოს განათლების სამინისტროს სისტემაში წყალბურთის სულ 18 ჯგუფი მოქმედებს და აქედან ყველაზე ნაკლები, სულ 2 ჯგუფი ბათუმშია გახსნილი. თბილისში მუშაობს 7 ჯგუფი, ქუთაისსა და სოხუმში — 4-4, ბავშვთა და მოზარდთა უმაღლესი სპორტული ოსტატობის სპორტულ სკოლაში — 1 (თბილისის ბაზაზე).

რამ გამოიწვია ბავშვთა წყალბურთის განვითარების დაბალი დონე? ამ შეკითხვაზე პასუხს იძლევა ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები, საიდანაც ნათლად ჩანს ჩვენი რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სისტემაში წყალბურთის ჯგუფების სიმცირე და მეტად შეზღუდული გეოგრაფია. სწორედ ეს არის ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. ამას ემატება ჩვენს ქალაქებში საცურაო აუზების სიმცირე და მათი არასტაბილური მუშაობა.

საინტერესოა, რატომ არ ზრუნავენ თუნდაც მარტივი ტიპის საცურაო აუზების აგებისთვის და ცურვის დანერგვისთვის (ცურვა ხომ წყალბურთის განვითარების ერთ-ერთი მთავარი და აუცილებელი კომპონენტია) ისეთ ქალაქებში, როგორიცაა გორი, ზუგდიდი, ფოთი, ცხინვალი, რუსთავი, ზესტაფონი, თელავი, მცხეთა, ხაშური?

**ი. იუნაევი.**

• • •



სურათზე: აჭარის და ქუთაისის გუნდების შეხვედრის მომენტი.

ავტორის ფოტო.

## ჩვენი [illegible] კალეიდოსკოპი

„ესტონია-18" ახალი სარბოლო მანქანაა, რომელსაც ტალინის საცდელი ავტოსარემონტო ქარხანა უშვებს. იგი თავის წინამორბედზე — „ესტონია-16 მ"-ზე უფრო სრულყოფილია: გაუმჯობესებულია ჩარჩო, კორპუსი, მუხრუჭები, გადაცემათა კოლოფი. ახალ მანქანას აქვს „ჟიგული" ვაზ-2101-ის ფორსირებული ძრავა, რომელიც დიდი სისწრაფის განვითარების საშუალებას იძლევა. საწარმომ უკვე გამოუშვა ამ მანქანების პირველი სერია. ახალი მანქანებით ივარჯიშებენ საგზატკეცილო-წრიულ რბოლაში საკავშირო ნაკრები გუნდის წევრები.

სურათზე: ავტომანქანა „ესტონია-18".

(საკდესის ფოტოქრონიკა).

• • •

ყალმუხეთის ასსრ. ქალაქი ელისტა. სახალხო დღესასწაულების დროს ცხენოსნობაში შეჯიბრება ყველაზე პოპულარულია ყალმუხეთში. ამჯერადაც რესპუბლიკის ყველა კუთხიდან ჩამოსულ საუკეთესო ცხენოსანთა ასპარეზობას ათასობით მაყურებელი დაესწრო.

ვ. ვონოგისა და კ. ტარუსოვის ფოტო (საკდესი).

• • •

**რიგაში** დაიწყო XXVII საკავშირო ჩემპიონატი საგზატკეცილო-წრიულ მოტორბოლაში. მეორე ეტაპი 2 ივლისს მოეწყობა ვილიანდში (ესტონეთი), მესამე — 17-18 აგვისტოს რიგაში, დასკვნითი ეტაპი — 23-25 აგვისტოს ტალინში.

პირველ ეტაპზე გაიმარჯვეს: მოსკოველმა ლ. კუზნეცოვამ, ა. ოლეინიკოვმა (175 კბ სმ მანქანების კლასი), ეტლიანი მოტოციკლებით — ლენინგრადელებმა ვ. კალიუჟნიმ და ვ. კრასავცევმა, 350 კბ სმ მანქანების კლასში — ლ. ტეესალუმ (ესტონეთი), 125 კბ სმ კლასში — ა. მოსკოვკამ (რსფსრ).

სურათზე: 750 კბ სმ ეტლიანი მანქანებით შეჯიბრებაში გამარჯვებულნი ვ. კალიუჟნი და ვ. კრასავცევი დისტანციაზე.

ვ. ნიკოლაევის ფოტო (საკდესი).

# მსაჯი — შეჯიბრების ორგანიზატორი

სპორტული შეჯიბრებები ბოლო წლებში სულ უფრო ფართო მასშტაბებს ღებულობს. ასპარეზობა ჩატარებული მუშაობის შემოწმების საუკეთესო საშუალებაა. სწორედ აქ ვლინდებიან თანრიგოსნები და სპორტის ოსტატები, ახალგაზრდა ტალანტები. ფიზკულტურული ორგანიზაციები და მწვრთნელები შეჯიბრებების შედეგების მიხედვით გეგმავენ შემდგომ მუშაობას. სპორტულ სარბიელზე ხომ ის იმარჯვებს, ვინც ფიზიკურად, ტექნიკურად და ფსიქოლოგიურად უკეთესადაა მომზადებული.

კარგად ჩატარებული ასპარეზობა ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის, გამოცდილების გაზიარების ბრწყინვალე საშუალებაა.

შეჯიბრების პროცესი მთელ რიგ ფსიქოლოგიურ ფაქტორებთანაა დაკავშირებული. ტურნირის საზეიმო ვითარება, მაყურებელი, მსაჯთა ოპერატიულობა სპორტსმენს პასუხისმგებლობის გრძნობას უღრმავებს. ამ ღონისძიებებში მსაჯი მთავარი ფიგურაა. კარგი მსაჯობა მეტ ლაზათსა და ელფერს აძლევს შეჯიბრებას, ხოლო უხეირო მსაჯს შეუძლია გააფუჭოს მთელი ღონისძიება, მონაწილეებსაც და მაყურებლებსაც წაუხდინოს გუნება.

საკავშირო სპორტკომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მსაჯთა კადრების აღზრდას და მსაჯობის ხარისხის გაუმჯობესებას, როგორც სპორტის აღმზრდელობითი როლის გაძლიერებისა და სპორტული შედეგების ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორს. თავისი 1971 წლის 30 ივნისის დადგენილებით მან დაამტკიცა მსაჯებისა და მსაჯთა კოლეგიების დებულება. ამ დებულებით დადგენილია შემდეგი კატეგორიები:

მოზარდი მსაჯი (ასაკი 12-16 წელი);
მესამე კატეგორიის მსაჯი;
მეორე კატეგორიის მსაჯი;
პირველი კატეგორიის მსაჯი;
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი;
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

გარდა ამისა, შემოღებულია „საპატიო მსაჯის" წოდება, რომელიც ენიჭებათ საკავშირო კატეგორიის არბიტრებს მრავალი წლის მანძილზე აქტიური და უმწიკვლო მუშაობისთვის.

დებულებაში ხაზგასმულია, რომ მსაჯობა დიდად საპასუხისმგებლო საქმეა. მსაჯი, რომელიც ნებაყოფლობით საზოგადოებრივ საწყისებზე ასრულებს ამ საქმეს, უნდა იყოს პატიოსანი და მიუკერძოებელი, მკაცრად და ობიექტურად იცავდეს შეჯიბრების წესებს, ასპარეზობის მონაწილეთაგან მოითხოვდეს ამ წესების უყოყმანოდ შესრულებას, ხელს უწყობდეს სპორტსმენის კომუნისტური მორალისა და ეთიკის სულისკვეთებით აღზრდას, შეურიგებლად ებრძოდეს უდისციპლინობას, უხეშობასა და უტაქტობას.

რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ რესპუბლიკაში?

თუ სტატისტიკურ მონაცემებს დავეყრდნობით, თითქოს ყველაფერი რიგზეა. საქართველოში ირიცხება 1712 პირველი, 752 რესპუბლიკური და 532 საკავშირო კატეგორიის მსაჯი. მარტო შარშან 39 კაცს რესპუბლიკური, 14-ს კი საკავშირო კატეგორია მიენიჭა.

ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ სიაში ბევრი მკვდარი სულია. ბოლო წლებში მსაჯთა კადრების აღზრდა და პრაქტიკული გამოყენება ერთგვარად შესუსტდა. ეს განსაკუთრებით პერიფერიებში იგრძნობა. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ქართულ ენაზე თითქმის არც ერთ სახეობაში არ გაგვაჩნია მეთოდური სახელმძღვანელო, შეჯიბრების წესები. იშვიათად და დაბალ დონეზე ტარდება მსაჯთა მოსამზადებელი და გადასამზადებელი სემინარები. ფიზკულტურულ ორგანიზაციებს არა აქვთ შეჯიბრების ოქმები და სხვა ტექნიკური ბლანკები.

ხშირია შემთხვევები, როცა მსაჯთა სიმცირის გამო შეჯიბრება დაბალ დონეზე ტარდება. რატომღაც მოდიდან გადავარდა ტურნირის გახსნის ცერემონიალში მსაჯთა კოლეგიის მონაწილეობა. იმასაც შევეგუეთ, რომ მსაჯები სპეციალური ფორმის გარეშე გამოდიან სარბიელზე (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფეხბურთს, კრივს და ზოგიერთ სხვა სახეობებს), არ უკეთიათ სამკერდე ნიშნები, ემბლემები, ფერადი ნიშნები მკლავსა და მაჯაზე (ჭიდაობაში).

ხშირად იმის მოწმენიც ვყოფილვართ, რომ შეჯიბრების საყურებლად მოსული, წარსულში გამოჩენილი სპორტსმენი სამსაჯოდ მოუწვევიათ (უმეტესად ეს მოჭიდავეთა ასპარეზობისას ხდება). ეს თხოვნა ზოგჯერ ამ საპატიო სტუმრებს უხერხულ მდგომარეობაში აგდებს. ისინი იძულებული არიან სასტვენი სხვა მსაჯისგან ითხოვონ, ფეხსაცმელს იხდიან და ხალიჩაზე წინდებით შედიან. რა თქმა უნდა, ყოველივე ამაში სპორტული ეთიკა ძალიან ნაკლებადაა.

არის შემთხვევები, როცა მთავარი არბიტრები შეჯიბრებაზე მსაჯებად უშვებენ ისეთ პირებს, რომლებსაც სათანადო კატეგორია არა აქვთ. ზოგჯერ, როცა სპეციალისტები არ ჰყოფნით, მსაჯობენ შეჯიბრების მონაწილე გუნდების მწვრთნელები და წარმომადგენლებიც კი, რასაც, ბუნებრივია, ხშირად მიკერძოება და უკმაყოფილება მოსდევს.

ამას წინათ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების საკავშირო პირველობა სამბოში. შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა კნიაზევმა (მოსკოვი) ადგილობრივ არბიტრებს მოსთხოვა მსაჯობის მოწმობა. უმრავლესობას ეს საბუთი... არ აღმოაჩნდა. ცხადია, მთავარმა მსაჯმა ისინი შეჯიბრებაზე არ დაუშვა.

თითებზე ჩამოსათვლელი გვყავს მსაჯები, რომლებსაც მთავარი მდივნის მოვალეობის შესრულება შეუძლიათ. ერთი ასეთი უნივერსალური არბიტრი გახლდათ ნატალია ცნობილაძე. მას კარგად შეეძლო მთავარი მდივნის მოვალეობის შესრულება სპორტის რამდენიმე სახეობაში (ტანვარჯიშში, ველოსპორტში, მძლეოსნობაში, სათხილამურო სპორტში, ცხენოსნობაში, კომპლექსურ ღონისძიებებში...).

მსაჯების ნაკლებობა განსაკუთრებით იგრძნობა სპორტული საზოგადოებებისა და საუწყებო ორგანიზაციების მიერ რაიონებში გამართულ შეჯიბრებებში. ადგილებზე კვალიფიციური არბიტრები ნაკლებად არიან, თბილისიდან წასვლა კი თითქმის ყველას ეზარება.

მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის ტექნიკური საშუალებები ყოველდღიურად მატულობს, სპორტში ამ მხრივ საქმე ძალიან ნელა მიდის წინ. შეჯიბრებები ხშირად რადიოგადაცემებისა და ცოცხალი, სწრაფი ინფორმაციის გარეშე ტარდება. სიტყვა „მსაჯი-ინფორმატორი" ბოლო დროს რატომღაც დავიწყებას მიეცა.

რა ელფერი და ინტერესი აქვს ისეთ შეჯიბრებას, სადაც მონაწილეებსა და მაყურებელს ყოველი ვარჯიშის, შეხვედრის, გარბენის, ნახტომის შესახებ დროულად და კვალიფიციურად ვერ ვაწვდით ინფორმაციას?

ახლოვდება საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა. მას წინ უნდა უძღოდეს მასობრივი შეჯიბრებები ფიზკულტურის კოლექტივებში, რაიონული, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკური სპარტაკიადები. ამ ასპარეზობათა ორგანიზებულად, მაღალ დონეზე ჩასატარებლად კი საჭიროა მსაჯთა ოპერატიული მუშაობა, საქმეში ახალი კადრების ჩაბმა.

ამიტომ უახლოეს ხანში აუცილებლად უნდა ჩატარდეს მსაჯთა ხელახალი აღრიცხვა. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში, მსხვილ საწარმო-დაწესებულებებში უნდა მოეწყოს მსაჯთა მოსამზადებელი და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარები.

**ზ. სუხიშვილი,**
საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე.







ეროვნული ბიბლიოთეკა




# ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ ᲬᲚᲘ

**ვ. ივანოვი**

## IX თავი

### იმ დასკვნების შესახებ, რაც მოჰყვა და არ მოჰყოლია მსოფლიო პირველობას

მაშ ასე, შვედებთან მეოთხედფინალურ მატჩში სსრ კავშირის ნაკრების დამარცხებას გუნდის მოსკოვში გასტუმრება მოჰყვა.

რა თქმა უნდა, ჩვენ უკვე გვენატრებოდა სახლი, ოჯახი, ძალიან გვინდოდა რაც შეიძლება მალე გვენახა ახლობლები. მაგრამ ყოველი ჩვენგანი მზად იყო ეს პაემანი კიდევ ერთი კვირით გადაედო. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ეს იმისთვის არ გვინდოდა, რომ კიდევ ერთხელ გაგვესეირნა კუნსტგატანზე — შვეციის დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე. არც იმას ვიაახავდით მიზნად, რომ უცხოეთში კიდევ რამდენიმე დღით დარჩენისთვის ზედმეტი ოცი კრონი მიგვეღო და შინ ერთის მაგიერ ორი უცხოური ჰალსტუხი ჩამოგვეტანა.

იაშინი ცდილობდა ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელები დაეყოლიებინა, რომ მისთვის თავისი ხარჯით დარჩენის უფლება მიეცათ. მაგრამ მას, ისევე როგორც ყველა დახარჩენს, უარი უთხრეს. მწვრთნელები, ფეხბურთელები და მათთან ერთად ჩემპიონატზე მეთვალყურეებად მივლინებული სპეციალისტები წაგების მეორე დღესვე წამოვედით შვეციიდან.

წინ კი იყო მთავარი მოვლენები — ორი ნახევარფინალი და ორი ფინალი. წინ იყო ოთხი მატჩი მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეებისა და უძლიერესი გუნდების მონაწილეობით. მსოფლიო ფეხბურთის ლიდერებს სწორედ ამ უკანასკნელ დღეებში, სწორედ ამ ოთხ უკანასკნელ მატჩში უნდა ეჩვენებინათ ყველაფერი, რისი უნარიც მართლა შესწევდათ, სწორედ ახლა უნდა გაეშალათ ყველა თავისი კოზირი საფეხბურთო მინდვრის მწვანე სუფრაზე.

ჩვენ არ ვიცით, როგორ მიმდინარეობდა ეს მატჩები, — ჩვენ არ გვინახავს ისინი.

მე შემეძლო მეთქვა არაერთი „შესაცოდი" სიტყვა იმის გამო, რომ უპატივცემულოდ მოგვეპყრნენ. ჩვენ ხომ ვეცადეთ, ჩვენ ხომ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო, და დავიმსახურეთ უფლება დავსწრებოდით უაღრესად საინტერესო სანახაობას, რომლის სანახავადაც სამყაროს ყველა კუთხიდან ათიათასობით სპორტის მოყვარული ჩამოვიდა. აღარას ვამბობ იმაზე, რომ ჩვენ, მოწიფულ ხალხს, რომელთა შორის ბევრი სპორტის დამსახურებული ოსტატი იყო, ცუღლუტი მოწაფეებივით მოგვექცნენ. ბოლოს და ბოლოს, მთავარი ეს არ არის.

მსოფლიო ჩემპიონატი ხომ უპირველეს ყოვლისა და უწინარეს ყოვლისა სკოლაა, რომლის ბადალიც ფეხბურთში არ არის და არც შეიძლება იყოს. როგორ თამაშობენ ჩემპიონი და ფინალისტები? რამ განაპირობა მათი წარმატება — ტექნიკამ? ტაქტიკამ? მზადების სისტემამ? ფსიქოლოგიურმა განწყობამ? რაში მდგომარეობს პირველი პრიზიორის უპირატესობა მეორესთან შედარებით? ახალი რა შეიტანეს პირველობის გმირებმა თამაშში?

ამ შეკითხვებზე პასუხების მოძებნას სპეციალისტები თავს აკლავენ მთელი ოთხი წლის განმავლობაში, ერთი ჩემპიონატიდან მეორემდე. და აშ ოსხწლედში უკვე დაკანონებულია მსოფლიო ფეხბურთის მოდები — მათ გამარჯვებულები უკარნახებენ დანარჩენებს.

ყველაფერი ეს დამტკიცებას არ მოითხოვს, ყველაფერი ეს აქსიომაა. და მაშინ ეს ზუსტად ისევე იყო ცნობილი, როგორც დღეს, თუმცა მსოფლიო პირველობის დებიუტანტები ვიყავით.

მაგრამ, თუ ყველაფერი ეს ნათელია, მაშინ არანაკლებ ნათელია მეორეც: ნაკრების მომავლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მსოფლიოს უძლიერესი გუნდების მატჩები გვენახა სწორედ ჩვენ, ფეხბურთელებს, იმათ, ვისაც პრაქტიკულად მოუწევდა მორიგი პირველობის შემდეგ მსოფლიო ფეხბურთის მიერ შეძენილი მდიდარი გამოცდილების დანერგვა. არანაკლებ ნათელია ისიც, რომ პირადი ალქმის მაგივრობას ვერ გაგვიწევს ამ თამაშების, ცალკეული რგოლებისა და ფეხბურთელების მოქმედების ვერავითარი ლამაზი აღწერა, თუნდაც ყოველივე ამას უდიდესი, ენამოქარგული ერუდიტები გადმოგვცემდნენ.

რამდენად პრაქტიკულია სტუდენტთა აუდიტორიიდან გაყვანა იმ მომენტში, როცა კათედრაზე ყველაზე კვალიფიციური პროფესორები ადიან ამ სტუდენტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ლექციების კურსის წასაკითხად?

და მაინც, მაშინ, პირველად, შევეძლო ყოველივე ზემოთქმულის მიზეზად დაგვესახელებინა გამოუცდელობა და უცოდინარობა, რამაც წინდაუხედავი, აუხსნელი გადაწყვეტილებები მიგვაღებინა. მაშინ ხომ ჩვენთვის ჯერ კიდევ საფეხბურთო ამერიკების აღმოჩენის პერიოდი იყო. მაგრამ გავიდა წლები. ახლა უკვე ოთხი მსოფლიო ჩემპიონატი მოვიტოვეთ უკან. მიუხედავად ამისა, ბოლო, მექსიკის ჩემპიონატიდანაც, როცა ქვეყნის ნაკრები ცხრა მთას იქით გაემგზავრა და გაემგზავრა არა მარტო მედლებისთვის საბრძოლველად, არამედ ჭკუის სასწავლადაც, იგი შინ გააგდეს, როგორც კი ბრძოლას გამოეთიშა.

ისევ, ფინანსისტების გულის გასახარად, ცოტათი შემცირდა მექსიკაში გუნდის ყოფნასთან დაკავშირებული ფულადი ხარჯები. მაგრამ ვინ იანგარიშებს ჩვენი ფეხბურთის ზარალს იმის გამო, რომ შესტერნიოვმა და მუნტიანმა, ბიშოვეცმა და ხურცილავამ, კაპლიჩნიმ და კისელიოვმა, რომელთაც არ ეწერათ მინდორზე შეხვედროდნოდნენ ბრაზილიას, იტალიას, გფრ-ს, ვერ შეძლეს ენახათ მაინც, როგორ თამაშობენ დღეს ეს გუნდები, გადმოეღოთ რამე პელეს და გერსონის, რივერას და მაცოლას, ზეელერისა და ბეკენბაუერის არსენალიდან? ვინ შეადგენს იმ ზარალის ნუსხას, რაც ჩვენ განვიცადეთ იმით, რომ ეს მატჩები არ უნახავთ უდიდეს საბჭოთა მწვრთნელებს მასლოვს, კაჩალინს, სიმონიანს?

მე ვფიქრობ, იმ მომენტში, როცა მსოფლიო ჩემპიონატების ბოლო მატჩებზე ჩვენი დარჩენის საკითხი წყდებოდა, მთავარი მერკანტილური მოსაზრებები მაინც არ იყო. უბრალოდ ჩვენი წაგება აღიზიანებდათ, ჩვენ კი ცუღლუტ მოწაფეებს ვგავდით. ამიტომ ცხელ გულზე გვაგდებდნენ ჩემპიონატიდან და ასეთი ხერხით დასამაულისთვის გვსჯიდნენ.

მე რომ მკითხოთ, აქ მხრივ დღევანდელი ფეხბურთელები უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე ჩემი თაობა. ჩვენ არ გვებოდიშებოდნენ. მზად იყვნენ ყოველი წვრილმანისთვის დავესაჯეთ. ეტყობა, ჩვენამდე კიდევ მოაღწია იმ ქექა-ქუჩილ ს ექომ, რომელმაც ჩვენს ფეხბურთს გადაუქროლა 1952 წლის ოლიმპიადის შემდეგ.

გავიხსენებ ერთ შემთხვევას, რომელიც შვეციის მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებისთანავე მოხდა.

გავიდა თვე-ნახევარი და ჩვენ ისევ გამოვეთხოვეთ ოჯახს. მატჩი გვქონდა ინგლისის ნაკრებთან, ამჯერად ლონდონში, განთქმულ „უემბლიზე". ეს საპასუხო ვიზიტი იყო.

მეორე მატჩი სსრ კავშირის ნაკრების ისტორიაში არნახული მარცხით დამთავრდა. 0:5 — ეს ანგარიში მრავლისმეტყველია. მე სულ არ გავიხსენებდი თამაშის პერიპეტიებს, არ შევეცდებოდი საკუთარი თავისა და პარტნიორების გამართლებას, ინგლისელებს თან მთელი მატჩის ამსახველი კინოფირი რომ არ გამოეტანებინათ. ჩვენც და ჩვენთან ერთად უამრავმა სპეციალისტმაც ძალიან ბევრჯერ ვნახეთ ეს ფირი და საერთო დასკვნამდე მივედით: თამაში ჩვენი ნაკრებისთვის ტრაგიკულად წარიმართა.

არის ასეთი მატჩები (მართალია, ეს მეტისმეტად იშვიათად ხდება): თამაში თითქოს თანაბარია, საგოლე მომენტებიც დაახლოებით თანაბრად იქმნება, ორივე გუნდი ერთნაირად უტევს და იცავს თავს, მაგრამ ერთს, რამდენ მომენტსაც შექმნის, იმდენი გოლი გააქვს, ხოლო მეორეს... ხან ძელი იხსნის მეტოქეს, ხან უკანასკნელ წამს, როცა კარი უკვე ცარიელია, ბურთი მცველს მოხვდება, ხან კიდევ სხვა რომელიმე გაუთვალისწინებელი გარემოება ჩაერევა საქმეში.

ჩვენც ასე მოგვივიდა. ჩვენ, პირდაპირ უნდა ვთქვათ, უგერგილოდ ვთამაშობდით, მაგრამ არც ისინი წყვეტდნენ ციდან ვარსკვლავებს და განა შეიძლებოდა ორიოდე თვეში ასე მნიშვნელოვნად შეცვლილიყო ძალთა თანაფარდობა? ეს ხომ ჩვენი მეოთხე შეხვედრა იყო. ამასთან, ორი მატჩი ფრედ დამთავრდა, მესამე კი ჩვენ მოვიგეთ ერთი ბურთის უპირატესობით. მართალია, ამჯერად იაშინი კარში ვლადიმერ ბელიაევმა შეცვალა, მაგრამ ძირითადად შემადგენლობები იგივე დარჩა. ხომ არ შეიძლება გუნდები ერთ წამში გარდაიქმნან? ასეთი რამ არ ხდება.

ამასობაში ანგარიში კატასტროფული სისწრაფით იზრდებოდა. ამის მიზეზი ხდებოდა ყოველი ჩვენი შეცდომა. ერთხელ შუა მინდორში ბრძოლაში არ ჩავები, ბურთი მეტოქეს დავუთმე, ის კი ცოტა წინ წავიდა, გვერდი აუარა კესარევს და დაახლოებით ოცი მეტრიდან დაარტყა. ბელიაევს „ეძინა" და ეს ბურთი გაუშვა. მეორედ კუზნეცოვმა პირით ხაზთან უსწოროდ გააჩერა მარჯვენა გარემარბი, რისთვისაც სამართლიანად დაისაჯა პენალტით, თუმცა საგოლე მომენტი სულ არ იყო. მესამედ კიდევ რაღაც ამგვარი მოხდა...

მაგრამ, სანამ საქმე კინოფილმის ნახვამდე მივიდოდა, ჩვენ, ნაკრების მოთამაშეები და მწვრთნელებს, გასალანძღად მოგვიყარეს თავი ერთი ფრიად პატივცემული გაზეთის რედაქციაში (ისევ ავარიდებ თავს ზუსტი მისამართის დასახელებას: წარსულია რა გასახსენებელია...)

და დაიწყო...

რაში არ გვადანაშაულებდნენ! არ ვაზვიადებ: რა მომაკვდინებელი ცოდვაც არსებობს, ყველა ჩვენ დაგვდეს ბრალად. მშიშრებიც გამოვედით, ცუდი პატრიოტებიც, უსაქმურებიც, ეგოისტებიც. ერთსაც არ გასსენებია, რომ ყოველი ჩვენგანის ბიოგრაფიაში იყო არა მარტო საშინელი დამარცხებები, არამედ გამარჯვებებიც, პრიზებიც და კარგად ჩატარებული თამაშებიც.

ბოლოს ადგა ამ სხდომის თავმჯდომარე, დასკვნა გაუკეთა ყველაფერს იქ ნათქვამს და წამოაყენა დადგენილების პროექტი. არსი ასეთი იყო: გუნდის გამოსვლა არადამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს, ხოლო სამ მთავარ დამნაშავეს მიეცეს დისკვალიფიკაცია და ჩამოერთვას სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. ვინ იყო ეს სამი არამზადა? პირველი — ნიკიტა სიმონიანი, რამდენადაც გუნდის კაპიტანი გახლდათ, მეორე — ბორის კუზნეცოვი, ვის გამოც ჩვენს კარში თერთმეტმეტრიანი დარტყმა დაინიშნა, მესამე — ვალენტი[ნ ივანოვი] ... მაც „ფეხი არ გაა[...] ლი მოჰყვა (არ[...] მეოთხე).

ეს ახლა ვიხსენებ იმ სხდომას ღიმილით, მაშინ კი საქმე სახუმაროდ არ მქონდა, არც მე და არც ჩემს ამხანაგებს. ჩვენ ვიცოდით: ერთი წუთის შემდეგ ყველა ერთად აწევდა ხელს და, გათავდა, მშვიდობით, ფეხბურთო...

ალბათ, ყველაფერი ასეც იქნებოდა, მაგრამ ბოლო მომენტში გაისმა ხმა „გთხოვთ სიტყვა მომცეთ". ეს ანდრეი პეტრეს ძე სტაროსტინი იყო. ახლა არ შემიძლია მისი გამოსვლა სიტყვასიტყვით მოვიყვანო — მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა, მაგრამ ის ლაპარაკობდა ისე, როგორც მხოლოდ სტაროსტინმა იცის ლაპარაკი, — ბრწყინვალედ, დამაჯერებლად, ლოგიკურად, და თავის ოპონენტებს ყოველგვარი იმედი გადაუწურა. მისი სიტყვის შინაარსი დაახლოებით ასეთი იყო: ნუთუ დამარცხებამ, თუნდაც გამანადგურებელმა, შეიძლება ასე დაიაბრმავოს მოწიფული, ჭკუადამჯდარი ხალხი? კი, ცუდად ითამაშეს, მომავლისთვის სერიოზული გაკვეთილი მიიღეს. მაგრამ ყოველი ჩვენგანი საკმაოდ კარგად იცნობს სიმონიანსაც, ივანოვსაც და კუზნეცოვსაც, ყველასთვის ცნობილია მათი დამსახურება, მათი დამოკიდებულება საერთოდ ფეხბურთისადმი და კერძოდ ნაკრებში საკუთარი ვალდებულებებისადმი. და თუ მათ ერთ რაღაც, თუნდაც საპასუხისმგებლო მატჩში ცუდად ითამაშეს, რა ვუყოთ მერე, ასეთი რამ ყველას შეიძლება მოუვიდეს...

სტაროსტინი დაჯდა და ვიგრძენით, რომ დარბაზში ატმოსფერო შეიცვალა. ყველას თითქოს შერცხვა თავისი ქცევისა, თავისი მისწრაფებისა, რომ რადაც უნდა დასჯდომოდათ, დაესაჯათ ვინმე. სხდომამ გადაუხვია გატკეპნილ გზას, რომელზეც ერთი წუთის წინ მივგორავდა. საბოლოოდ ნაკრების გამოსვლა არადამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს, მაგრამ მოთამაშეებს შორის დანაშაული არ გაუნაწილებიათ. ასე დაიშალნენ კიდეც... (სხვათა შორის, ორიოდე დღის შემდეგ ინგლისიდან ჩამოვიდა კინოფირი, რომელმაც საბოლოოდ რეაბილიტაცია უყო სამ „ბოროტმოქმედს" თვით ყველაზე თავგამოდებულ ბრალმდებელთა თვალშიც კი).

წარუმატებლობის ნამდვილი, ღრმად დამალული მიზეზების აღმოჩენა, მისი ფესვების პოვნა და ჩიხიდან გამოსასვლელი გზების განსაზღვრა უაღრესად რთული საქმეა, რომელიც დიდ დროსა და თავდადებას მოითხოვს. ბევრად იოლია განტევების ვაცის პოვნა. სამწუხაროდ, არა ერთხელ და ორჯერ, საერთაშორისო სარბიელზე დამარცხების შემდეგ, ჩვენი სპორტის მესვეურები ამ მეორე გზით მიდიოდნენ. ყველაზე ხშირად განტევების ვაცის როლი ნაკრების მწვრთნელს ეკისრება — თითქოს მას შეეძლოს აგოს პასუხი ძლიერი მოთამაშეების უქმარობის გამო, ტექნიკურ მომზადებაში იმათი ხარვეზების გამო, ვისაც იგი თავის გუნდში ერთი-ორი თვით იწვევს, პასუხი აგოს ჩვენი ფეხბურთის ორგანიზაციაში არსებული სხვა ნაკლოვანებებისთვის.

ცუდი მაგალითი გადამდებია. ფეხბურთის მესვეურებს საზოგადოებების ხელმძღვანელები ჰბაძავენ. შემთხვევითი როდია, რომ ყოველი სეზონის შემდეგ „ა" კლასის გუნდების მწვრთნელთა შემადგენლობა, სულ ცოტა, ერთი მესამედით ახლდება. და მერე როგორ ახლდება! „ა" გუნდიდან დათხოვნილ მწვრთნელს „ბ" გუნდში იწვევენ, ხოლო მისი „ბ" გუნდიდან გადაყენებული კოლეგა „ა" გუნდში გადადის. პრინციპი ერთია: ოღონდ ძველი დაითხოვონ, ოღონდ ახალი აიყვანონ. და ყოველ გაზაფხულზე, მორიგი სეზონის დაწყების წინ გათელილ საფეხბურთო გზაჯვარედინებზე ერთმანეთს ხვდებიან უკვე ხანში შესული, მწვრთნელად მუშაობაში გაჭაღარავებული ადამიანები, რომლებიც „ქერჩიდან ვოლოგდაში" და „ვოლოგდიდან ქერჩში" მომთაბარეობენ. რას იზამ, მწვრთნელის შეცვლა ყველაზე იოლია.

მაგრამ, რაც მთავარია, სერიოზული და ღრმა დასკვნების გამოტანა იმ გაკვეთილებიდან, რომლებსაც ყოველი მსოფლიო ჩემპიონატი, ყოველი კონტინენტური ტურნირი გვაძლევს, ჩვენ არ ვიცით.

უფრო სწორად, ჩვენ ამას მუდამ მთელი გულმოდგინებით ვაკეთებთ, მაგრამ მხოლოდ სიტყვებით. სინამდვილეში კი ყველაფერი უცვლელი რჩება წლებისა და ათწლეულების მანძილზე. თუ მარცხი ვიწვნიეთ, ვსახავთ გარდაქმნათა ფართო პროგრამას, გამოგვაქვს ურიცხვი გადაწყვეტილება, რომელთა შესრულებისთვის ზრუნვაც მავან და მავან დიდად პასუხისმგებელ მუშაკებს ევალებათ. მერე ვცვლით ნაკრების მწვრთნელს. მერე... თუმცა, ჩვეულებრივ, საქმე ამით არ მთავრდება.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო" №№ 42, 45, 46, 47, 56, 57, 60, 61, 64, 66, 70, 71, 75, 82, 83, 90, 92, 95, 97, 98, 100, 106, 110.

## პირველი ჩემპიონები

**მოსკოვი, 13 ივნისი.** სპორტულ აკრობატიკაში აქ მიმდინარე I მსოფლიო ჩემპიონატმა დღეს თავისი პირველი ლაურეატები დაასახელა. ქალთა წყვილების მრავალჭიდში ოქროს მედლები მოიპოვეს ბულგარეთის ქალაქ სლივენის წარმომადგენლებმა ს. სპასოვამ და კ. ლეჩევამ. მეორენი იყვნენ ვარშაველები ბ. ადახი და მ. ლიხომსკა. ბრინჯაოს ჯილდოები ხვდათ ვორონეჟელებს ვ. ზალეპუკინას და ტ. ბურლაკოვას.

მაგრამ შემდეგ ორ სახეობაში წარმატებას საბჭოთა აკრობატებმა მიაღწიეს. მათგან მსოფლიოს პირველი ჩემპიონი გახდა ახლახან მინსკიდან ომსკში გადასული ი. ზაკუნოვი, რომელმაც ყველას აჯობა ხტომაში (მრავალჭიდში). ამ 20 წლის სპორტსმენმა ორმაგი მალაყი გააკეთა ურთულესი ბრუნებით.

შერეულ წყვილებში მსოფლიო ჩემპიონები არიან სვერდლოვსკელი ცოლ-ქმარი გალინა და იური საველიევები.

შეჯიბრება გვიან ღამემდე გაგრძელდა. საბჭოთა სპორტსმენებმა ქალთა ოთხეულში წარმატებები. ქალთა შორის ხტომაში ოქროს მედალი 19 წლის ნ. მასლობოიშჩიკოვამ (ტოლიატი) მოიპოვა. II ადგილზე გასული სტავროპოლელი ნ. ტიმოფეევა ჩემპიონს 0,7 ქულით ჩამორჩა. მათს შემდეგ ხტომაში (მრავალჭიდში) მოდიან ვ. ვასილიევა (ბულგარეთი), დ. ტენი (აშშ), ე. კმენკოვსკა (პოლონეთი)...

მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ, აგრეთვე, ვოლგოგრადელები ვ. ნაზაროვი და ვ. ალიმანოვი (ვაჟთა წყვილები), ტოლიატელები თ. დუბროვინა, ლ. გულიაევა და ტ. საბლინა (ჯგუფური ვარჯიში), მოსკოვის ოლქის წარმომადგენლები ი. ზოლოტოვი, შ. ვილდანოვი, ა. მაკაროვი და ვ. სლეპოკუროვი (ჯგუფური ვარჯიში).

შეჯიბრება დიდი სიმწვავით ხასიათდება. მაგალითად, დუბროვინამ, გულიევამ და საბლინამ (38,29 ქულა) სულ 0,33 ქულით აჯობეს მეორე პრიზიორებს — პოლონელებს ს. იაბლონსკას, ა. იაკუბჩიკსა და ბ. კაცპშაკს. ბრინჯაოს ჯილდო ხვდათ ბულგარელებს ი. სტეფანოვას, ა. იორდანოვასა და ტ. სპასოვას — 37,12.

ვაჟთა წყვილების ასპარეზობაში II ადგილზე გავიდნენ კ. კიროვი და დ. დრაგანოვი (ბულგარეთი), ხოლო III — ი. ბაუმანი და პ. ლანდგრაფი (გფრ).

ახლა სპორტსმენები მედლებს მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში გაითამაშებენ.

**მოსკოვი, 14 ივნისი.** დღეს საღამოს ორ ცალკეულ ვარჯიშში გამოვლინდნენ მსოფლიო ჩემპიონები: გ. და ი. საველიევებმა შერეულ წყვილთა ასპარეზობაში მოიპოვეს ორი მცირე ოქროს მედალი. ასეთსავე წარმატებას მიაღწიეს ქალთა წყვილებში ს. სპასოვამ და კ. ლეჩევამ.

ხტომით ვარჯიშებში უძლიერესი იყო სტავროპოლელი ვ. სკაკუნი.



## თამაშობენ სოფლის სპორტსმენები

**✦ აბაშა**

რაიონის პირად-გუნდური პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში მოიგო მაიდნის კოლექტივმა. II ადგილზე არიან ზანათის სპორტსმენები; III — აბაშის მე-2 საშუალო სკოლის წარმომადგენლები.

**რ. შანტურია.**

# ისტორია

## ნიკე ისევ ბრაზილიისაა

### (1962 წ. სანტიაგო. ფინალური მატჩის მთავარი მსაჯი ნიკოლოზ ლატიშევი, სსრ კავშირი)

## ბრაზილია—ჩეხოსლოვაკია 3:1

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ორი წლით ადრე ჩილის თავს დაატყდა ძლიერი მიწისძვრა და მოსალოდნელი იყო, რომ ეს სტიქიური უბედურება წყნარი ოკეანის სანაპიროზე მდებარე ამ სახელმწიფოს უარს ათქმევინებდა პირველობის მასპინძლობისგან. მაგრამ ასე არ მოხდა. ჩილის პრეზიდენტმა ალესანდრომ რადიოთი გამოსვლაში განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მოწყობა ეროვნული სიამაყისა და პრესტიჟის საქმეა. ამ მძიმე ხვედრის ქვეყნის მთელი ხალხი დიდი ენთუზიაზმით შეუდგა უდიდესი ზარალის ლიკვიდაციას...

ფინალური შეჯიბრება გაიმართა ჩილის ოთხ ქალაქში — არიკაში, ვინია-დელმარში, რანგაკუასა და სანტიაგოში, ხოლო ფინალური მატჩი ბრაზილიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს შორის — 1962 წლის 17 ივნისს სანტიაგოს ეროვნულ სტადიონზე. იგი მიანდეს საბჭოთა მსაჯს ნიკოლოზ ლატიშევს, რომელიც 12 წლის წინანდელ ამბებს ასე იხსენებს:

„რისი იმედი უნდა ჰქონდეს 50 წლის მსაჯს? შეიძლება მშვენიერ ფორმაში იყო და არც მუხლი გღალატობდეს, მაგრამ გულში უკვე უნდა ეთხოვებოდე შენს კარიერას. სწორედ ასეთ უსიხარულო ფიქრებში ვიყავი ჩაძირული, როცა ტელეფონის ზარმა გამომაფხიზლა. ყურმილი ავიღე და საბჭოთა ფეხბურთის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარის ხმა გავიგონე:

— ამხანაგო ლატიშევ! ფიფა-ს ცნობით, თქვენ მიწვეული ხართ ჩილის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების მსაჯად. მოგილოცავთ და გისურვებთ წარმატებებს!

ეს ჩემთვის მოულოდნელი და, სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით სასიამოვნო იყო. ბევრი რამ გამეგო სამხრეთამერიკული ფეხბურთის მაღალ დონეზე, იქაურ ფეხბურთელთა ტემპერამენტსა და მაყურებელთა ნამდვილ სიშმაგეზე. ახლა საშუალება მეძლეოდა ყოველივე ეს ჩემი თვალით მენახა!

ჩილი ჩემთვის მუდამ დაუვიწყარ მოგონებად დარჩება. მე ხომ პირველი საბჭოთა მსაჯი ვიყავი, რომელმაც ამ შორეული ქვეყნის მიწაზე ფეხი დაადგა. უსაქმოდ ვიყავი-მეთქი ვერ ვიტყვი, რადგან მსოფლიო ჩემპიონატის ოთხი შეხვედრა: ინგლის — არგენტინის, იტალია — შვეიცარიის, ჩეხოსლოვაკია — უნგრეთისა და ბრაზილია — ჩეხოსლოვაკიის მატჩები მომანდეს.

ხშირად ვიგონებ ამ ბოლო, ყველაზე მნიშვნელოვან შეხვედრას...

მატჩის დღეს სტადიონისკენ მიმავალ ქუჩებში ცალმხრივი მოძრაობის დასაცავად პოლიციელთა გაძლიერებული რაზმები გამოიყვანეს, მაგრამ საქმეს მათაც ვერ გაართვეს თავი. ჩემს კოლეგებთან — გვერდითს მსაჯებთან, ჰოლანდიელ ჰორნთან და შოტლანდიელ დევიდსონთან ერთად ძლივს მივაღწიე სტადიონამდე. გამაოცეს ჩილელმა გულშემატკივრებმა: სხვა დროს ისინი თითქმის თამაშის დაწყების წინ მოდიოდნენ სტადიონზე, ახლა კი მატჩამდე უკვე ერთი საათით ადრე ტრიბუნებზე ნემსი არ ჩავარდებოდა.

გარეთ ყოველ წუთს აფეთქებდნენ პეტარდებს, საშინელი ხმაური და ღრიანცელი იდგა, ჩვენ სამნი კი სტადიონის ერთ-ერთ მყუდრო ოთახში ვბჭობდით, თუ როგორ, რა საშუალებით გვეხელმძღვანელა შეხვედრისთვის. ჰორნსა და დევიდსონს ვთხოვე, მოთამაშეთა მიერ წესის ყოველი დარღვევა მინდვრის შუაგულში აღნიშნეთ და შემატყობინეთ, მაგრამ საჯარიმო მოედნებზე თუ-კი რამ მოხდება, მე დამიტოვეთ-მეთქი. კარგად ვიცნობდი და ახლა უფრო უკეთ გავიცანი ბრაზილიელები. ვიცოდი, რომ ისინი ათასნაირი ხერხებით ეცდებოდნენ მსაჯებზე გავლენის მოხდენას და მათზე გაბატონებას...

ის-ის იყო მოთელვა დავამთავრეთ, რომ ჩვენთან ორივე გუნდის უფროსები შემოვიდნენ და მატჩში წარმატება გვისურვეს. თამაშის დაწყებამდე 10 წუთი იყო დარჩენილი. ოთახში ვისხედით და ვისვენებდით, ვდუმდით და მომავალ შეხვედრაზე ვფიქრობდით. სიჩუმე ლეო ჰორნმა დაარღვია:

— ლატიშევ, ვიცი, გინდათ თამაშის შემდეგ ბურთი სამშობლოში წაიღოთ, მაგრამ გაფრთხილდით, მაგ ბურთზე ბევრ ვინმეს უჭირავს თვალი. ფხიზლად უდარაჯეთ, რაც მთავარია, ბურთი მაგრად ჩაიხუტეთ გულში, თორემ თვალსა და ხელს შუა აგაცლიან, როგორც სტოკჰოლმში უკვე გიგეს.

— გმადლობთ გაფრთხილებისთვის. კეთილ რჩევას მაძლევთ, ლეო, მაგრამ გარწმუნებთ, ჩემი ხელიდან ბურთს ვერავინ ელირსება.

როცა ორივე გუნდთან ერთად მწვანე მინდორზე გავედით, ტრიბუნებზე ტაშმა იქუხა. მინდორზე სამასამდე ფოტორეპორტიორი მაინც ფუსფუსებდა და ეს აშკარად ხელს გვიშლიდა შეხვედრისწინა ცერემონიალის ნორმალურად ჩატარებაში. ჰიმნების შესრულების, ფინალისტთა დროშების აღმართვის, ურთიერთმისალმების, სამახსოვრო ალმების გაცვლისა და აუცილებელი კენჭისყრის შემდეგ გაისმა ჩემი სასტვენის მკვეთრი ხმა. ფინანალი დაიწყო.

ოცდამეათე წუთამდე მეტოქეები მშვიდობიანად თამაშობდნენ. როცა ანგარიში უკვე 2:1 იყო სამხრეთამერიკელთა სასარგებლოდ, ცნობილმა ბრაზილიელმა მცველმა ჯალმა სანტოსმა ხელით ითამაშა საჯარიმო მოედანზე. მისგან რამდენიმე ნაბიჯით ვიყავი დაშორებული და გარკვევით დავინახე, რომ ეს მას განზრახ არ ჩაუდენია. ამიტომ თამაში არ შევაჩერე. ჩეხებს, რა თქმა უნდა, ეს მხედველობიდან არ გამორჩენიათ და დაჟინებით მიმითითებდნენ ლეო ჰორნისკენ. მან ალამი ასწია, მაგრამ მე ვითარება სალად შევაფასე და პირველი გადაწყვეტილება აღარ შემიცვლია. ჩეხები განერვულდნენ. მეკარე შროიფმა, რომელიც მანამდე ბრწყინვალედ თამაშობდა ორი შეცდომა დაუშვა. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა, თუმცა იმ დღეს პელეს არ უთამაშია.

მატჩის შემდეგ სტადიონზე ნამდვილი ჯოჯოხეთი სუფევდა. ბრაზილიელი მოთამაშეები მომცვივდნენ და მკოცნიდნენ. შემდეგ აღფრთოვანებულმა გულშემატკივრებმა ფეხბურთელები მხრებზე შეისვეს და ისე აიყვანეს საპატიო ტრიბუნაზე, სადაც ფიფა-ს პრეზიდენტმა სტენლი როუზმა გუნდის კაპიტან მაუროს ჟიულ რიმეს თასი გადასცა, მოთამაშეებს კი — თერთმეტი ოქროს მედალი.

სტადიონზე გამარჯვების ზეიმი კიდევ გრძელდებოდა, როცა მე იღლიაში ბურთამოჩრილმა ჰორნთან და დევიდსონთან ერთად გასახდელისკენ გავწიე. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ შევნიშნე კაცი, რომელიც ელვის სისწრაფით გამოვარდა ბრბოდან და, სანამ გონს მოვიდოდი, უძლიერესი დარტყმით (ღმერთმანი, ის დარტყმა კრივში აღიარებულ ჩემპიონსაც კი შეშურდებოდა) ბურთი ხელიდან გამაგდებინა. ძლივს მოვკარი თვალი, როგორ გადაუფრინა ბურთმა იქვე მდგომ ხალხს. პატარა კინკლაობისა და გაწევ-გამოწევის შემდეგ იმავე კაცმა ხელი სტაცა ბურთს და შურდულივით გავარდა, ხალხის ტალღაში ჩაიკარგა. ლეო ჰორნმა ნიშნის მოგებით ჩაიხითხითა:

— არ გეუბნებოდით, ბურთს გაუფრთხილდით-მეთქი?!

... მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ შევიტყვე გაზეთებიდან, რომ ბურთი, რომლითაც ფინალური მატჩი ჩავატარე, მდიდარი ბრაზილიელი ყავის პლანტატორის საკუთრება გამხდარიყო. ეს პლანტატორი თურმე დიდი გატაცებით აგროვებდა ასეთი ძვირფასი სუვენირების კოლექციას. წარმომიდგენია, რა თანხას გაიღებდა იგი მსოფლიო პირველობის ფინალური მატჩის, თანაც ბრაზილიელთა გამარჯვების „უშუალო მოწმე“, ბურთის ხელში ჩასაგდებად.

ასე იყო თუ ისე, 1958 და 1962 წლების მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ მატჩებში „მონაწილე“ ბურთები მსაჯებმა ვერ ჩავიგდეთ ხელში, თუმცა წინა პირველობათა დასკვნითს შეხვედრებში სწორედ არბიტრებმა იმარჯვეს და შინ ძვირფასი ნადავლით დაბრუნდნენ. ამჯერად ბურთი სტადიონიდან რიოდეჟანეიროელი მილიონერის ძვირფასი სუვენირებით გაბრჭყვიალებულ ვიტრინაში აღმოჩნდა.

თუმცა, მე არ ვნანობდი: ჩილის მსოფლიო ჩემპიონატიდან სახსოვრად ფიფა-ს ნაჩუქარი ოქროს სასტვენი მაინც დამრჩა“.

• • •

სურათზე: ფინალური მატჩის წინ. მარცხნიდან — ჩეხოსლოვაკიელთა კაპიტანი ნოვაკი, გვერდითი მსაჯი ჰორნი (ჰოლანდია), მთავარი მსაჯი ლატიშევი (სსრ კავშირი), გვერდითი მსაჯი დევიდსონი (შოტლანდია) და ბრაზილიელთა კაპიტანი მაურო.



# ფეხბურთი და ბიზნესი

პარიზი, 12 ივნისი. კავშირი სპორტსა და კომერციას შორის — მერკანტილიზმის ეს გამოვლინება, რომელიც წლიდან წლამდე ძლიერდება, რყვნის სპორტს და ამძაფრებს შოვინიზმს — არასდროს ისე აშკარა არ ყოფილა, როგორც ახლა, ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით, — ასე იწყებს ყოველკვირეული „ფრანს-ნუველის“ ბოლო ნომერში გამოქვეყნებულ წერილს რობერ ბარანი. ავტორს მოჰყავს რიგი ციფრები, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნიან ჩემპიონატის მოსალოდნელ შემოსავალზე. ბარანი აღნიშნავს, რომ ტურნირი დიდი ფინანსური საქმეა, თუმცა ჩვენ არ უარვყოფთ მის არაჩვეულებრივად პოპულარულ სპორტულ ხასიათს.

ავტორი ლაპარაკობს იმ გავლენაზე, რასაც ამა თუ იმ ქვეყანაში გარემო პირობები ახდენს ფეხბურთის განვითარებაზე. ამ მსჯელობის დროს იგი ბრაზილიის მაგალითს იშველიებს. წინა ჩემპიონატის დროს ბრაზილიის ხელისუფლებამ ეროვნული ნაკრების მოსამზადებლად ორი მილიონი დოლარი გამოყო. გამოიყენეს რა ბრაზილიელთა ენთუზიაზმი გუნდის გამარჯვებასთან დაკავშირებით, ისინი ცდილობდნენ ხალხისთვის დაევიწყებინათ კრუზეიროს დევალვაცია, კვების პროდუქტებზე ფასების არნახული ზრდა, შიმშილობა ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ახლა კი, როგორც ბარანი წერს, ბრაზილიის მთავრობამ ნაკრებისთვის უკვე 6 მილიონი დოლარი გამოყო. ისევ ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ „მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთი ნაყოფია იმ სახსრებისა, რაც მასებისთვის აქვს გამოყოფილი ახალგაზრდობისთვის მზრუნველ მთავრობას“. სინამდვილეში კი, როგორც ყოველკვირეული აღნიშნავს, 100 მილიონ ბრაზილიელზე, მიუხედავად სპორტისკენ მათი მიდრეკილებისა და ნიჭისა ამ სფეროში, სახსრებისა და სტადიონების უკმარობის გამო მხოლოდ 200 000 სპორტსმენი მოდის. სამაგიეროდ, ჰყავთ პროფესიულ ფეხბურთელთა მდიდარი რეზერვი.

როცა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაზე ლაპარაკობს, ავტორი იხსენებს იმ მანევრებს, რასაც მრავალი წლის მანძილზე იყენებდა ამ ფედერაციის აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტი სტენლი როუზი (ინგლისი), რათა იდეოლოგიური და პოლიტიკური ხელმძღვანელობა შეენარჩუნებინა. ავტორი წერს როუზის სამარცხვინო პოზიციაზე ჩილის ამბებთან დაკავშირებით. „როუზის ცდა, რომ ჩილეში შექმნილი მდგომარეობა ნორმალურად დაეხატა, სინამდვილეში პინოჩეტისა და მკვლელთა ხუნტისთვის მხარდაჭერა იყო“,—წერს ბარანი. იგი ხაზგასმით აღნიშნავს: როუზის პოზიციამ გამოიწვია ის ამბავი, რომ საბჭოთა გუნდი მსოფლიო ჩემპიონატს გამოეთიშა.

წერილის დასასრულ რ. ბარანი მკითხველის ყურადღებას მიაქცევს მეორეგვარ მიდგომას სპორტის საკითხებისადმი, სპორტის განვითარებას და მის დიდ მიღწევებს სოციალისტურ ქვეყნებში.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### ვინ დაღუპა „აიაქსი“?

ასეთ შეკითხვას სვამს ამ გუნდის ყოფილი მწვრთნელი კნობელი, რომელიც სულ ერთ სეზონს იდგა სათავეში ჰოლანდიის მრავალგზის ჩემპიონს, და თვითონვე უპასუხებს: „ღვინომ და ქალებმა!“

ამ სეზონის განმავლობაში „აიაქსმა“ დაკარგა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი, ჰოლანდიის ჩემპიონატში ჩამორჩა არა მარტო „ფეიენოორდს“, რაც უწინაც მომხდარა, არამედ „ტვენტესაც“.

მაგრამ გუნდის მესვეურების აზრით, ყველაფერში დამნაშავე პირველ ყოვლისა თვით კნობელია, რომელმაც ვერ მონახა საერთო ენა მოთამაშეებთან. ამიტომ იგი დაითხოვეს.

„აიაქსის“ მწვრთნელობა შესთავაზეს ცნობილ იუგოსლაველ სპეციალისტს ზ. ჩაიკოსკის, რომელიც ახლა „კიოლნის“ (გფრ) ხელმძღვანელია.

• •

### ო'ფარელი — ირანელთა მწვრთნელი

ცნობილი ინგლისელი სპეციალისტი ო'ფარელი, რომელიც ბევრი ცნობილი გუნდის ხელმძღვანელი ყოფილა, ირანის ნაკრების მწვრთნელი გახდა. ეს პოსტი მანამდე ბევრ ევროპელ სპეციალისტს შესთავაზეს, მაგრამ ყველამ უარი განაცხადა. საქმე ისაა, რომ ირანელებს სურთ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გასვლა 1978 წლისთვის, ამის გარანტიის მიცემა კი ძნელია.

## ფულს სუნი არ ასდის?

კეიპტაუნის სტადიონზე, სადაც სამხრეთაფრიკელ რეგბისტთა გუნდი მატჩს თამაშობდა ინგლისიდან დიდი გასამრჯელოს ეშხით ჩასულ „ბრითიშ ლაიონზთან“, („ბრიტანელი ლომები“), საპროტესტო დემონსტრაცია მოეწყო. როგორც უკვე ვწერდით, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ინგლისის გუნდის გამგზავრებამ სპორტული საზოგადოებრიობის დიდი პროტესტი გამოიწვია როგორც თვით ინგლისში, ისე მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაში, განსაკუთრებით — აფრიკაში.

მატჩი დაწყებისთანავე შეწყდა. სტადიონის მწვანე მინდორზე რამდენიმე ათეული დემონსტრანტი გამოვიდა. მათ გამოიტანეს პლაკატები წარწერებით: „თქვენ აპარტეიდს ეთამაშებით“, „ბოლო მოეღოს რასობრივ დისკრიმინაციას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში“.

მამაც ადამიანებს თავს დაესხნენ ხელკეტებით შეიარაღებული პოლიციელები და ცემა დაუწყეს. რამდენიმე მძიმედ დაშავებული დემონსტრანტი საავადმყოფოში გადაიყვანეს. 17 წლის ჯენმი სხუტს ხელკეტით ცხვირი გაუტეხეს და თავპირი დაუსისხლიანეს, მაგრამ ალბიონის ნაპირებიდან ჩასულ „ჯენტლმენებს“ პროტესტი არ გამოუთქვამთ სამხრეთაფრიკული პოლიციის მხეცური საქციელის გამო. ისინი თამაშს განაგრძობდნენ, ვითომც აქ არაფერიო.

როგორც ჩანს, „ბრითიშ ლაიონზისთვის“ ფულს სუნი მართლაც არ ასდის. (საკდესი).

## მარტოდმარტო ოკეანეში

დღესაც, დიზელებით, ტურბინებითა და ატომური დანადგარებით მომუშავე გიგანტი საზღვაო ხომალდების საუკუნეში, ტალღებზე ხშირად მოჰკრავთ თვალს თეთრად მოფრიალე აფრას. სწორედ რომანტიკოსებს, მამაც ზღვაოსნებსა და მკვლევრებს ეძღვნებათ პოლონელი ინჟინრისა და აფროსნის ანჯეი ურბანჩიკის წიგნი. ამ კრებულში, რომელიც გამომცემლობა „პროგრესმა“ გამოუშვა, ნაამბობია ოკეანეებში ეული აფროსნების მოგზაურობათა დაახლოებით საუკუნოვანი ისტორია.

ეს ისტორია დაიწყო 1876 წელს, როცა დანიელმა მეთევზემ ალფრედ ენსენმა იალქნიანი ბოტით გადასერა ატლანტის ოკეანე.

XIX საუკუნის დამლევს, როცა აფრიანი ნავები გემებმა შეავიწროვეს ეული მეზღვაურები თავგანწირვის ფასად ცდილობდნენ დაეცვათ აფრების პრესტიჟი, დაეცვათ ღირსება ამ შესანიშნავი გამოგონებისა, რომლის წყალობითაც თავის დროზე ადამიანმა ზღვა დაიპყრო. პირველი, ვინც აფრიანი ნავით დედამიწის ირგვლივ იმოგზაურა, ამერიკის იალქნიანი ფლოტის კაპიტანი, 51 წლის ჯოშუა სლოკამი იყო.

წიგნი გვიამბობს სახელგანთქმული მოგზაურების ბომბარის, უილისის, ტაბარლისა და ბევრი სხვა მეზღვაურის შესახებ, რომლებმაც საბრძოლველად გამოიწვიეს წყლის სტიქია და გაუძლეს ყველაზე მძიმე გამოცდას — მარტოობას. შეიძლება ითქვას, რომ ზღვის უშიშარ რობინზონებს შორის ყველაზე პოპულარული ფრენსის ჩიჩესტერი გახდა.

ოკეანის დამპყრობ ეულ ზღვაოსანთა შორის ქალებიც არიან. ამ ზღვაოსანთაგან პირველს ინგლისელ ჟურნალისტს ენ დევისონს ასახელებენ.

ლ. ერმაკოვა.
(საკდესის კორ.).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 04627